ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 67243622**

თარიღი:**27/12/2024**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2025 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2025 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი (წესი დანართის სახით თან ერთვის).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2024 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N18 (დ-67.67233602) დადგენილება“ (საკანონმდებლო მაცნე, ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge 28/12/2023 სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.124.016480).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი